

განხილულია შედეგები
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N 28.06.24



„ვამტკიცებ“
სკოლის დირექტორი
ალ. ჯავახიშვილი
03.07. 2024

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

მოსწავლის შეფასების მეთოდოლოგია

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

მოსწავლის შეფასების მეთოდოლოგია

მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები

1. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი
2. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა.
3. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის. (ესგ.მუხლი 7. მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები)

შეფასების კონცეფცია

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სწავლის კონსტრუქტივისტულ კონცეფციას (ესგ, 2018- 2024), რომელიც, თავის მხრივ, ავითარებს მონაწილეობით მიდგომას, რომლის თანახმადაც, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში და, ქმნიან ახალ ცოდნას უკვე არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით.

განათლებაში საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ცვლილებების (ბოლონიის შეთანხმება -1999 წ.) შედეგად ხდება მასწავლებელზე ორიენტირებული ტრადიციული მიდგომიდან ახალ, მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა. ასეთ შემთხვევაში განაცხადი, რომელსაც სწავლის შედეგებს უწოდებენ, გამოიყენება იმის გამოსახატავად, თუ რის მიღწევას უნდა მოელოდეს მოსწავლე და სკოლა და როგორ უნდა მოხდეს ამ მიღწევების დემონსტრირება. შესაბამისად, სწავლის შედეგი განისაზღვრა, როგორც განაცხადი თუ რა უნდა იცოდეს, რას უნდა იგებდეს/იაზრებდეს და რისი დემონსტრირება უნდა შეძლოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

ერთერთი განმარტებით, სწავლის შედეგი აღწერს თუ რა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირება შეეძლება მოსწავლეს პროგრამის დასრულების შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, სკოლა შეიმუშავებს გარკვეული სახის შეფასების ინსტრუმენტს ან ტექნიკას, რათა განვსაზღვროთ თუ რა ხარისხით მიაღწია მოსწავლემ

სწავლის შედეგებს. ამდენად, სკოლისათვის/პედაგოგისათვის გამოწვევას წარმოადგენს სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმების, შეფასების კრიტერიუმებისა და სწავლის შედეგების შეთანაწყოება. სწავლებას, შეფასებასა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი გვეხმარება, რომ მთელი სასწავლო გამოცდილება უფრო გამჭვირვალე და მნიშვნელოვანი გავხადოთ არა მხოლოდ მოსწავლისათვის, არამედ მისი მშობლებისათვის და რასაკვირველია, სკოლის ადმინისტრაციისათვის.

- შეფასების საშუალებით **მოსწავლე და მისი მშობელი** იღებენ ინფორმაციას მოსწავლის ძლიერსა და სუსტ მხარეებზე. ზეპირი ან წერილობითი კომენტარი ეხმარება მათ, დაინახონ განსხვავება არსებულსა და სასურველ მდგომარეობას შორის, დამოუკიდებლად დაგეგმონ პრობლემის მოგვარების ეფექტური გზები მასწავლებლის შეფასების საფუძველზე.
- შეფასება **მასწავლებელს** აძლევს ინფორმაციას მოსწავლის წინსვლის, მიღწევების და პრობლემების შესახებ, რის საფუძველზეც გეგმავს შედეგების გაუმჯობესების ღონისძიებებს.
- შეფასებაზე დაკვირვებით **სკოლა იღებს ინფორმაციას** იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, რა სახის პრობლემებია სხვადასხვა მიმართულებით, ანალიზებს გამომწვევ მიზეზებს და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს ადამიანური და მატერიალური რესურსების თუ პროცესების განვითარების თვალსაზრისით.

I. მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები

მოსწავლის შეფასება სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მიზანს ემსახურება და მოიცავს მოსწავლის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას, უკუკავშირის მიწოდებას და სწავლა-სწავლების პროცესში მორიგი ნაბიჯების განსაზღვრას (სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი მოსწავლის შეფასების მიმართულებით -2023).

აქედან გამომდინარე, შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი და შეფასების უმთავრესი მიზანია:

1. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა.
2. სწავლების კონკრეტული მეთოდის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა.
3. გააზრება იმისა, როგორ გამოვიყენოთ ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლის შეფასებისას ვიღებთ.

შეფასების ძირითადი ამოცანებია:

- ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკა მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;

- ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
- გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

II. შეფასების ძირითადი პრინციპები

შეფასება მიზანმიმართული, სისტემური და თანამიმდევრული პროცესია. მისი მთავარი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, სწავლების ეფექტიანი გაუმჯობესება და, მეორე მხრივ, სწავლა / სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასება. შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შეფასების მთელი რიგი პრინციპების გათვალისწინება.

ეს პრინციპებია: ა) ვალიდურობა; ბ) სანდოობა; გ) გამჭვირვალობა (ღიაობა); დ) სამართლიანობა; ე) ობიექტურობა.

1. შეფასების ვალიდურობა.

შეფასება ვალიდური, ანუ მიზანთან შესაბამისია, მაშინ როცა მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი იმ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. შეფასების მიზანს წარმოადგენს შედეგის გაზომვა, ამიტომ შეფასების მეთოდი უნდა შეირჩეს მიზნის შესატყვისად. მაგალითად, თუ შეფასების მიზანია მსჯელობის უნარის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია ფაქტობრივი ცოდნის შეფასებაზე, მაშინ ამ დავალებით მსჯელობის უნარს ვერ გავზომავთ. მსჯელობის უნარის გასაზომად მოსწავლეს უნდა დავუსვათ კითხვა, რომლის მიხედვითაც მას მოუწევს გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით თავისი პოზიციის ჩამოყალიბება და დასაბუთება (თუ ფაქტების შეფასება სასწავლო მასალაში არ არის მოცემული).

2. შეფასების სანდოობა.

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემის სანდოობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების მტკიცებულება, რისთვისაც ხორციელდება მათი შესწავლა შინაარსობრივი კუთხით.

სანდოობა ნიშნავს, რომ შეფასების შედეგები არის განმეორებადი. ამ უკანასკნელს კი უზრუნველყოფს მკაფიო შეკითხვები, ინსტრუქციები, ერთგვაროვანი გარემო და ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები. შეფასება შეიძლება იყოს ობიექტური, მაგრამ არ იყოს სანდო. სისტემატური მცდელობა, შევარგოვით მონაცემები ყველა მოსწავლისგან და არა მხოლოდ მათგან, ვინც საკუთარი ნებით პასუხობს, პროცესს უფრო სანდოსა და ვალიდურს ხდის.

შეფასების სანდოობის უზრუნველყოფის სტრატეგიებია:

- შესაფასებელი დავალების მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირება;
- დავალების მკაფიო ინსტრუქციის შემუშავება;
- თანაბარი გარემოს უზრუნველყოფა მოსწავლეების შეფასების პროცესისთვის (თანაბარი დრო და მსგავსი გარემო);
- შეფასების ფორმატის/მეთოდის წინასწარ გაცნობა მოსწავლეებისთვის;
- შეფასების მკაფიო და არაორაზროვანი სქემის შემუშავება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის;
- შემფასებლებისთვის შეფასების წესების მკაფიოდ განსაზღვრა და პრაქტიკული სესიების ჩატარება;
- შემფასებლების კვალიფიციურობა და მიუკერძოებლობა;
- დავალების რეგულარული ანალიზი ორაზროვანი საკითხების აღმოსაფხვრელად;
- შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, რომლებიც ავსებს ერთმანეთს.
- სანდოობის უზრუნველყოფისთვის, სასურველია, შეფასების განმეორება გარკვეული პერიოდის შემდგომ - თუ შედეგები თანიმიდევრულია, მონაცემები სანდოა.

3. შეფასების გამჭვირვალობა. როცა შეფასების კრიტერიუმები ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

გამჭვირვალობის პრინციპი ისაა, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ უნდა შეუთანხმდეს, თუ შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია (რა კრიტერიუმებით ან ინსტრუმენტებით (მაგ. შეფასების ცხრილებით, რუბრიკებით) შეფასდება მოსწავლის ნაშრომი) წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. ამის ცოდნა მოსწავლეს მისცემს იმის საშუალებას, რომ უფრო კარგად მოემზადოს, ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან საკითხებზე, შესაბამისად, მისთვის არ იყოს მოულოდნელი ის, თუ რა შეფასებას მიიღებს.

4. სამართლიანობა. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში, მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები იქნა ჩაყენებული,

5. ობიექტურობა. შეფასება არის **ობიექტური**, როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებებზე, სურვილებზე ან/და დამოკიდებულებებზე. იგი დამოკიდებულია შეფასების სქემაზე და ინსტრუმენტებზე და ნაკლებად იმ ადამიანებზე, რომლებიც შეფასებაში მონაწილეობენ. თუ შეფასების რუბრიკა იმდენად ზოგადია, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი

სხვადასხვაგვარად შეფასდეს, მაშინ ობიექტურობა ნაკლებად არის დაცული და შესაძლებელია შეფასება სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე ხორციელდებოდეს.

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

შეფასების ძირითადი პრინციპების გათვალისწინების მიზნით შეფასების ობიექტია **საკუთრივ** შეფასების პროცესი. რაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლის, მოსწავლეთა ინტერვიუების ან/და შეფასების პროცესზე დასწრების გზით.

შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა და მოსწავლემ ერთად შეიმუშაონ ის ძირითადი შედეგები, რომელთაც უნდა მიაღწიონ სასწავლო აქტივობის დასრულების შემდეგ და ის კრიტერიუმები, რომლებითაც მოხდება მათი სასწავლო შედეგების შეფასება. შეფასების კრიტერიუმების შექმნა უნდა მოხდეს მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ შედეგები, რომელთაც მასწავლებელი ელის, **მიღწევადი იყოს.**

მასწავლებელმა შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხარისხი (სახლში მიცემული დავალების შესრულების ხარისხი, გაკვეთილზე აქტიურობა, შემოქმედებითობა და სხვა).

იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად ასრულებს სასკოლო შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას **სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი და ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი.

III. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს მრავალმხრივი. შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება გახდეს უფრო ხარისხიანი. შეფასება უნდა მოიცავდეს სწავლის შემეცნებით, ემოციურ და ნებელობით - ქცევით სფეროებს. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის არ არის საკმარისი, მოსწავლე მხოლოდ საკონტროლოების და ტესტების შედეგების საფუძველზე შეფასდეს. მოსწავლის მრავალმხრივი შეფასება მოითხოვს შეფასების სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს:

- დაგროვილი მონაცემები
- ნამუშევრების კრებულები
- პრეზენტაციები
- მოსწავლის პორტფოლიო
- მოსწავლეთა თვითშეფასება
- მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეფასება
- შეფასება ჯგუფური მუშაობის თუ სხვადასხვა ტიპის აქტივობების მიხედვით.

იმისათვის, რათა მოსწავლემ ზუსტად გააცნობიეროს თუ როგორ მიაღწიოს სწავლის შედეგებს, საუკეთესო გზა არის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

IV. შეფასების კომპონენტები

სემესტრის განმავლობაში საგანში მოსწავლეების შესაფასებლად სკოლა იყენებს შემდეგ სამ კომპონენტს:

- მიმდინარე საშინაო დავალება
- მიმდინარე საკლასო დავალება
- შემაჯამებელი დავალება

სამივე კომპონენტს აქვს ერთნაირი წონა.

V. შეფასების ფორმები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება შეიძლება იყოს: განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მუხლი 7. პ.5).

განმავითარებელი შეფასებისას შეფასების საგანია სწავლის პროცესი. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასება:

- აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს; ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირება; აჩვენებს მოსწავლის განვითარების სუსტ და ძლიერ მხარეებს; რის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლეთა დახმარების სტრატეგიის შემუშავება; სასწავლო სიტუაციის ან სასწავლო რიტმის მოდიფიცირება; მიღწეული პროგრესის მონიტორინგი და აღიარება.
- შეფასების მიზნით მასწავლებლები გამოიყენებენ კომენტარებს (მიმდინარე შეფასება), რომელთა დახმარებით მოსწავლე და მისი მშობელი იღებენ ინფორმაციას მოსწავლის ძლიერსა და სუსტ მხარეებზე. ზეპირი ან წერილობითი კომენტარი ეხმარება მათ, დაინახონ განსხვავება არსებულსა და სასურველ

მდგომარეობას შორის, დამოუკიდებლად დაგეგმონ პრობლემის მოგვარების ეფექტური გზები მასწავლებლის შეფასების საფუძველზე.

- განმავითარებელი შეფასება, როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეს აწვდის უკუკავშირს - მასწავლებელს მისი სწავლების (გამოყენებული მეთოდების, სტილისა და მიდგომების) და მოსწავლეს - მისი სწავლის პრაქტიკის შესახებ.
- ქმნის საფუძველს მოსწავლის წინარე ცოდნის ან წარმოდგენების დადგენისათვის და მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის.
- იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ათვისების პროცესის შეფასების საშუალებას;
- განმავითარებელი შეფასება სინამდვილეში პროცესია და მისი მთავარი ფუნქცია სწავლის გაუმჯობესებაა.
- განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.
- განმავითარებელი შეფასების პოტენციალის მქონე აქტივობებია: საკლასო დისკუსიები, მოსწავლეების გამოკითხვა, მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე დაკვირვება, მოსწავლის მუშაობის შემოწმება/გამოცდა, ქვიზები და სხვა ტესტები, თუკი შეფასებისას მიღებული შედეგები გამოიყენება სწავლა-სწავლებაში ცვლილებების შესატანად, რომ მეტად მოემსახუროს მოსწავლეების საჭიროებებს.

განმავითარებელ-მიმდინარე შეფასების ტიპი გამოიყენება სასწავლო აღმზრდელობით პროცესში მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების ფორმირებისა და გაუმჯობესების მიზნით.

განმავითარებელ-შემაჯამებელი შეფასება თავისი შინაარსით დიდად არ განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასების ამ ტიპს აქვს დიაგნოსტიკის ფუნქცია. ის გვეხმარება, დავადგინოთ და გავიგოთ მოსწავლის მიღწეული შედეგები რამდენად შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს.

- **განმსაზღვრელი შეფასება.** შეფასების საგანია სწავლის შედეგი, შესაბამისად

განმსაზღვრელი შეფასება:

- ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით.
- განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურობდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას. განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს ადგენს თავად სკოლა.

- შიდასასკოლო, განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში ავტორი მასწავლებელია. მას შეუძლია შეფასება განახორციელოს ქულით. ასევე, ქულას შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერითა და ხარვეზების გამოსწორების მითითებით.
- განმსაზღვრელი შეფასების ამოცანები და მიზნებია:
 - ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;
 - ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;
 - ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება;
 - კურიკულუმის, გამოყენებული ინსტრუქციული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება;
 - მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

| | განმავითარებელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| მიზანი | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა | სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა |
| შეფასების საგანი | სწავლის პროცესი | სწავლის შედეგი |
| შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება | წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ. | მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება |
| წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა | კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს) | იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით |

| | | დადგენილ ნორმასთან მიმართებაში) |
|-----------------------|--|---------------------------------|
| შეფასების საშუალებები | <p>თვითშეფასების რუბრიკა (საკუთარი შეცდომებისა და დადებითი მხარეების ხაზგასმა, შუქნიშანი);</p> <p>ურთიერთშეფასების რუბრიკა (ერთმანეთის დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეების აღწერა);</p> <p>კითხვარი;</p> <p>სიტყვიერი (ზეპირი ან/და წერილობითი) კომენტარი;</p> <p>უნარის განვითარების დონის აღწერა.</p> <p>რჩევა-დარიგება.</p> <p>დაკვირვების ფურცელი; ცოდნის/გაგების გადამამოწმებელი შეკითხვები,</p> <p>რუბრიკები ,</p> <p>ქვიზი და სხვ.</p> | ქულა |
| ავტორი | მასწავლებელი (შემფასებელი); მოსწავლე (თვითშეფასება ან ურთიერთშეფასება). | მასწავლებელი (შემფასებელი); |

VI. შეფასების დონეები

საკლასო შეფასების ფორმატში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

| ქულები | შეფასების დონეები | შეფასების დონეების აღწერა |
|--------|-------------------|--|
| 10 | მაღალი | მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს. |
| 9 | | |
| 8 | საშუალოზე მაღალი | მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად. |
| 7 | | |
| 6 | საშუალო | მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით. |
| 5 | | |
| 4 | დაბალი | მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია. |
| 3 | | |
| 2 | | |
| 1 | | |

VII. შეფასების სისტემა

საერო სკოლა „ალბიონის“ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის განსაზღვრულ სისტემას.

1. სკოლის I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. გარდა მიმდინარე და სემესტრული განმავითარებელი შეფასებისა, სასწავლო წლის ბოლოს კლასის აღმზრდელი საგნის მასწავლებლებისაგან მიღებული და საკუთარი დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას სკოლის მიერ შემუშავებული ფორმით (შეფასების ფურცელი. დანართი N 1) წარუდგენს სკოლის დირექციას (განათავსებს მოსწავლის პირად საქმეში და აცნობს მოსწავლის მშობელს). ამავე მიზნით, ესგ-ს მოთხოვნათა შესაბამისად, აღმზრდელი სააღმზრდელო კლასის თითოეული

მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს წერს მოსწავლის მოკლე შემაჯამებელ დახასიათებას (დანართი N 2).

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მიმინალური ქულა არის - 1, ხოლო მაქსიმალური - 10 ქულა. სემესტრისა და წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციისა და და ელექტრონული ჟურნალის მონაცემების გამოყენებით აჯამებს და სემესტრული/წლიური შეფასების ფორმის (დანართი N 3) სახით შეაქვს მონაცემები მოსწავლის პირად საქმეში და აცნობებს მის მშობელს.
3. განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული და შეიძლება განხორციელდეს საკლასო და სისტემურ დონეზე (სასკოლო გამოცდები, ერთიანი ეროვნული გამოცდები, ეროვნული შეფასება, სტანდარტიზებული ტესტები საერთაშორისო კვლევის PISA, PIRLS, TIMMS ფარგლებში).
4. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.
5. სკოლაში არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება;
 - 5.1. სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში (ფიზალზრდა, სპორტი, ჭადრაკი); ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში: ჭადრაკი და რითმიკა;
 - 5.2. არჩევით საგნებში (2023-2024 ს.წ. ქართული ეთნოგრაფია, ფოლკლორი და მითოლოგია, მსოფლიო კულტურა და მდგრადი განვითარება);
 - 5.3. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში (მეტყველების კულტურა, ქცევის კულტურა, სახალისო მათემატიკა).
6. საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი ფორმით).

შენიშვნა: განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით თან ერთვის შეფასების სქემები/რუბრიკები, სადაც ნიმუშები მოცემულია მაგალითის სახით, რომელზე დაყრდნობითაც კონკრეტული გაკვეთილისათვის თითოეული მასწავლებელი შეიმუშავებს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკას.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება:

1. მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;
2. სემესტრული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით. (მაგ., 6.12 დამრგვალდება 6-მდე, 7.49 დამრგვალდება 7-მდე, 8.5 დამრგვალდება 9-მდე);
3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად საშინაო და საკლასო დავალებების კომპონენტში მიღებულ შეფასებებს ემატება შემაჯამებელ სამუშაოებში მიღებული ქულების ჯამი, რომელიც გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე
4. სემესტრული ქულის ამაღლება დარეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით და ამ წესით.

ბ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. ტრადიციულად სკოლა „ალბიონის“ პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით სასწავლო წლის ბოლოს VII-XII კლასებში ტარდება წლიური გამოცდები. შესაბამისად, საგამოცდო საგნებში საგნის წლიური ქულა გამოითვლება **წლიური გამოცდისა და სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე**, ხოლო არასაგამოცდო საგნებში სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

1. საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
2. საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეთედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 6.53 მრგვალდება 6.5-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).
3. საფეხურის ქულის გამოთვლისას არ იანგარიშება დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება

დ) საფეხურის ქულა - გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეთედის სიზუსტით.

მოსწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად ნებისმიერ კომპონენტში გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება. განმსაზღვრელი ქულებით მოსწავლეები შეფასდებიან შემდეგი სქემით:

| | I-IV კლასები | V კლასის პირველი სემესტრი | V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი | VII-XII კლასები |
|-----------------------------------|--------------------------|---------------------------|--|--|
| მიმდინარე საშინაო დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება | განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი შეფასება |
| მიმდინარე საკლასო დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება | განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი შეფასება | განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი შეფასება |
| შემაჯამებელი დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება | განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი შეფასება | განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი შეფასება |

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე (შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალება შედის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემაჯამებელ სამუშაოთა რაოდენობაში).

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადმოსვლისას აღმოჩნდება, რომ შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“ რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“ მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“ მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

VIII. შემაჯამებელი დავალების შესრულების, შეფასებისა და აღდგენის წესი

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება – განისაზღვრება თემების მიხედვით და წარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას (ესგ!);

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. მაგალითად:

- ესეს დაწერა
- პროექტის მომზადება
- ლაბორატორიული კვლევის ჩატარება
- რეფერატის დაწერა
- ამოცანის ამოხსნა
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა
- მოთხრობის შედგენა
- მონაცემთა ბაზის შექმნა
- კონკრეტული პრობლემის გადაჭრა
- საველე-გასვლითი სამუშაოს ანგარიშის მომზადება
- სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება

ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგი შეიმუშავებს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს (კურიკულუმების დანართი: შეფასების რუბრიკები).

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და **შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში** გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
 3. შეფასების ინდიკატორები – გამომდინარეობს შედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის თემაში რეალიზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის;
 4. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება;
 5. სკოლის სასწავლო გეგმა საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას (დანართი N). თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა აძლევს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის საშუალებას.
 6. სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით სკოლის მიერ ორგანიზებული დამატებითი შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარებისას, მოსწავლის შეფასება შედის შემაჯამებელი შეფასების საერთო რაოდენობაში, როგორც ერთერთი რიგითი შეფასება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს სასკოლო მონიტორინგის შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, მისი შეფასების გამოთვლისას (რაოდენობაში) ჩაითვლება შეუსრულებელი შემაჯამებელი სამუშაო.
7. შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი
- თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს სკოლაში გამოცხადებიდან 2 კვირის განმავლობაში მისცეს შესაძლებლობა ჩააბაროს და აღადგინოს გაცდენილი დავალება.
 - მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეს აღადგენინოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება იმავე ფორმით, როგორც შეასრულა მთლიანმა კლასმა. შემაჯამებელი დავალების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს მთლიანი კლასის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებით გასაზომ შედეგს, თუმცა საკითხები უნდა იყოს განსხვავებული შინაარსის.
 - აღდგენილი შემაჯამებელი დავალების ნიშნის შეტანა ხდება ჟურნალში, შემაჯამებელი დავალების გრაფაში, როცა ეს დავალება შესრულდა.
 - სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი,

პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში);

- საგნის მასწავლებელი მოსწავლესთან ათანხმებს შემაჯამებელი დავალების აღდგენის კონკრეტულ დროს (თარიღს!), წერილობითი ფორმით მიმართავს სკოლის დირექციას დამატებითი შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.
- სკოლის დირექტორის პირველი მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენის შესახებ, ეთანხმება საგნის მასწავლებლის მიერ წარდგენილ გრაფიკს, სადაც მითითებულია მოსწავლის ვინაობა, აღსადგენი საგანი და შემაჯამებელი დავალების N და თარიღი. მოსწავლეთა ინფორმირებაზე პასუხისმგებელია საგნის პედაგოგი და კლასის აღმზრდელი.
- აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო მოსწავლემ უნდა შეასრულოს გაკვეთილების შემდეგ, დამატებით დროს, მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციის წევრის მეთვალყურეობით.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში) ექიმის ცნობის წარმოდგენის შემდეგ, სკოლა უფლებამოსილია გაზარდოს აღნიშნული ვადა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლისათვის შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება მასთან შეთანხმებულ პერიოდში.
- კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;

7. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს:

7.1. შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

7.2. მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ✓ შემაჯამებელი დავალების ნომერი,
- ✓ შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;
- ✓ კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები;

- ✓ ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.
- ✓ თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.
- ✓ დანართი: კომპლექსური შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა

რეკომენდებული არ არის ერთსა და იმავე დღეს კონკრეტულ კლასში 2 ან მეტი შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება. საკითხის დასარეგულირებლად კლასის აღმზრდელი, საგნის მასწავლებლებთან ერთად ადგენს შემაჯამებელი სამუშაოების ყოველთვიურ განრიგს (საგანი, ძირითადი და ადდგენითი შემაჯამებელი სამუშაოს N, და თარიღი). განრიგი გამოკრული უნდა იყოს საკლასო ოთახში და მასზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირისათვის.

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 20 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 16 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდეგი სახით: $16 \cdot 10 : 20 = 8$. ანუ, შეფასება არის 8 ქულა.

იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის 1/3-ზე მეტი დისტანციური სწავლების ფორმით მიმდინარეობდა, სკოლას უფლება აქვს შეამციროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რაც უნდა აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამ შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა დაემთხვევა სემესტრის განმავლობაში ნასწავლი თემების რაოდენობას. ასეთი შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით.

5. თუ სკოლას რომელიმე კლასში ჩარიცხვის თხოვნით მომართავს რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლე, მობილობის შესაძლებლობის შემთხვევაში, მოსწავლე ჩარიცხება ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დამლევის თაობაზე.

6. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში (ესგ).

7. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე

დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

8. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

9. სკოლა ვალდებულია (საჭიროებისამებრ) შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს მოსწავლე. შინ სწავლების წესსა და პირობებს განსაზღვრავს სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი უნდა ემსახურებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებას.

IX. გამოცდის ტიპები

- სტრატეგიული განვითარებისა და წლიური სამუშაო გეგმების შესაბამისად სკოლა შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებებს, რომელთა შედეგი განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას და საშუალებას და გამოიყენება სასკოლო კურიკულუმის განვითარებისათვის.
- მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რამდენადაც ისინი აქტიურად მონაწილეობენ როგორც შესაბამისი წესებისა და ნორმატივების შემუშავებაში, ისე საკუთრივ პროცესში და შედეგების გაანალიზებასა და საჭირო აქტივობების განსაზღვრაში.
- ამ მიზნით სკოლაში ტარდება გამოცდები, სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოები და კვლევები, როგორც სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის დონის გაზომვის, ისე კურიკულუმებში განსაზღვრული კრიტერიუმების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო ცვლილებების შეტანის მიზნით.

სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა.
- წლიური გამოცდა

9.1. სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი

განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლა ქმნის საგამოცდო კომისიას. განსაზღვრავს გამოცდის ჩატარების განრიგს და მინიმუმ ერთ საკონსულტაციო შეხვედრას საგნობრივი კათედრის წარმომადგენელთან, იღებს შესაბამის ზომებს გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

4. სკოლა სემესტრულ გამოცდებს ჩატარებს წერილობით, ტესტირების ფორმით

5. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

6. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

9.2. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით.

1. საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები.
2. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების საჭიროების შესახებ სკოლის დირექტორს ერთობლივი მოხსენებითი ბარათით მიმართავს კლასის აღმზრდელი და შესაბამისი საგნის მასწავლებელი.
3. სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას და განსაზღვრავს საშემოდგომო გამოცდის/გამოცდების დანიშვნის ვადებს.
4. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა ან/და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
5. სკოლის დირექცია ამზადებს და დირექტორის ბრძანებით ამტკიცებს საშემოდგომო გამოცდებისა და კონსულტაციების განრიგს. აღნიშნულ განრიგს კლასის აღმზრდელი აცნობს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.
6. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს მიეცემა არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. ამ პერიოდში მას უტარდება ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციები.

7. სკოლა საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით, ტესტირების ფორმით
8. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

9.3. ექსტერნატის გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი (საგნის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათების 30% და მეტის გაცდენის შემთხვევა).
3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დამლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

9.4. წლიური სასკოლო გამოცდა/ სასკოლო შემაჯამებელი დავალება

შეფასების ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების შექმნის მიზნით სკოლის პედაგოგიური საბჭოს (სასწავლო წლის დასაწყისში) გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია სასწავლო წლის თითოეულ სემესტრში ჩაატაროს სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოები და სასწავლო წლის ბოლოს დანიშნოს საგნობრივი გამოცდები და კვლევები (გარდა საერთაშორისო კვლევებისა). აღნიშნულ ინფორმაციას კლასის აღმზრდელი პირველივე საინფორმაციო შეხვედრებზე აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარების მიზანი შესაძლოა იყოს კონკრეტული კლასი/მოსწავლის მიერ პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკა, ხოლო კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება კლასის/საფეხურის პროგრამული მასალის დამლევის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად და სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეთა მიერ კვლევის დროს მიღებული შეფასება არ აისახება მათ სემესტრულ და წლიურ შედეგებზე. კათედრის მიერ გაკეთებული ანალიზი

გამოყენებულ იქნება სასკოლო კურიკულუმის კორექტირებისათვის და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოს შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც ერთერთი შეფასება შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტში ან/და კვლევის მიზნებისათვის.

1. წლიური გამოცდის ქულა აისახება საგნის წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულა გამოიყვანება შემდეგი ფორმულით: სამი შეფასების (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

თუ მოსწავლე საგამოცდო ნაშრომში შეფასდება საშუალოზე დაბალი და დაბალი ქულით, წლიურ შეფასების გამოყვანა შესაძლებელია წლიური საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

2. წლიური გამოცდებისა და სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოების/კვლევების ჩატარების საკითხს განიხილავს და წყვეტს სკოლის პირველი პედაგოგიური საბჭოს სხდომა. ჩატარებამდე ორი თვით ადრე სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს წლიური გამოცდები, სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოების და კვლევების ჩატარების განრიგს, საგნობრივ კომისიების შემადგენლობას და გამოცდისწინა კონსულტაციების ჩატარების დროს.

3. აღნიშნულ ინფორმაციას კლასის აღმზრდელი აცნობს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

აღნიშნული აქტივობები შედის სკოლის სასწავლო პროცესის მონიტორინგის წლიურ გეგმაში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

4. წლიურ გამოცდაზე მოსწავლე დაიშვება მხოლოდ დადებითი სემესტრული შეფასებების საფუძველზე.

5. სკოლა წლიურ საგნობრივ გამოცდას ატარებს საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში.

6. წლიური გამოცდისათვის სკოლა შემაჯამებელი დავალების მსგავს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს სთავაზობს მოსწავლეებს. გამოცდამდე პერიოდში კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის საგამოცდო თემების (სასწავლო თემის დასახელება!) მიწოდებას და არანაკლებ 2 კონსულტაციის ჩატარებას.

8. მონიტორინგს (გამოცდები, სასკოლო შემაჯამებელი, კვლევა) ატარებს სკოლის დირექცია საგნობრივ კათედრებთან ერთად. მონიტორინგის შედეგების ანალიზი განიხილება საგნობრივი კათედრების სხდომებზე, მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე. და გამოიყვება სასკოლო კურიკულუმის ანალიზისა და კორექტირების მიზნით

9. გამოცდის აღდგენა/გადატანა არ ხდება, გარდა წინამდებარე წესით დადგენილი შემთხვევებისა; გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში,

მოსწავლემ/მშობელმა წინასწარ დადგენილ ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს და წარადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა/დოკუმენტი, რომელზეც მითითებული იქნება შესაბამისი პირის საკონტაქტო ინფორმაცია. საპატიო მიზეზის დადასტურების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციის მიერ დაინიშნება გამოცდების აღდგენის განრიგი.

10. სკოლის ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს საგამოცდო მასალის დაშიფრვა და მხოლოდ შეფასების შემდეგ ხდება შიფრის მოხსნა.

11. წარმოდგენილი საკითხები უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო საგნის ფარგლებში კლასისათვის განსაზღვრულ თემატიკას.

12. საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია გამოცდებამდე სამი კვირით ადრე ჩააბაროს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს საგამოცდო მასალა, რომელსაც დეკოდირებული სახით გამოცდის მეთვალყურე პირი ჩაიბარებს გამოცდის წინ და გამოცდის დასრულების შემდეგ ჩააბარებს პასუხისმგებელ პირს.

13. საგამოცდო კომისიის წევრი ვალდებულია: ა) გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა პასუხისმგებელი პირიდან ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები გასასწორებლად; გაასწოროს ნაშრომები მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში და არაუგვიანეს მეოთხე დღისა წარუდგინოს კათედრას.

14. კათედრა ვალდებულია არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა მოახდინოს მოსწავლეთა საგამოცდო ნაშრომების გაანალიზება წინასწარშემუშავებული ფორმის მიხედვით.

X. გაცდენები

- მოსწავლეთა გაცდენები, მათ შორის, შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანილი და საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეების გაცდენები, აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების ელექტრონული აღრიცხვის **ჟურნალში**. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი, რომელიც ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეების დასწრება.
- თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. თუკი მოსწავლე აღადგენს კონკრეტულ საგანში გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას, ამ შემთხვევაში გაცდენილი საათი არ ჩაითვლება გაცდენილი საათების საერთო

რაოდენობაში.

- სკოლა ვალდებულია შინსწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეკუთვნებიან რისკჯგუფს პირისპირ სწავლების შემთხვევაში და მშობლის მიმართვის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოებები ცნობილი ხდება სკოლისათვის. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას. ხოლო, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.
- იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვისა და ცნობის წარმოდგენის საფუძველზე, მოსწავლის მიერ გაცდენილი საათები ჩაითვლება საპატიოდ.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ 23-ე მუხლის თანახმად, საპატიო მიზეზით მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შეატყობინოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის მასწავლებლის ინფორმირებას.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ შესაბამისი საგნის მასწავლებელი არ არის ინფორმირებული, შესაბამისი საგნის მასწავლებელი მოსწავლის დაგვიანების/საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კლასის დამრიგებელს/უფლებამოსილ პირს. კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ და დაადგინოს საგაკვეთილზე გამოუცხადებლობის მიზეზი.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ, კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული აცნობოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს და სკოლის დირექციას.

თუ აღნიშნულ შემთხვევაში ვერ ხერხდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112“-ს.

- მოსწავლის სკოლაში სისტემატიურმა გამოუცხადებლობამ შესაძლებელია მოსწავლის სტატუსის შეჩერება განაპირობოს.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-9 მუხლის თანახმად, მოსწავლის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

1. მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველია, თუ მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას. მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები:

- **ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში**, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს,
- **ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ**, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, დირექცია უფლებამოსილია კლასის დამრიგებელთან ერთად საქმეში ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი 7 ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.
- აღნიშნულ შემთხვევაში ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების

სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (მიმართავს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებულ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს“).

2. მოსწავლის სტატუსი ჩერდება, თუ მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მომართავს სკოლას.

3. მოსწავლეს სტატუსი უჩერდება, თუ სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

4. მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია, თუ არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები.

5. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

6. ზემოაღნიშნული რომელიმე საფუძველით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო შესაბამისი ბრძანება და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

თუ მოსწავლე საგაკვეთილო პროცესებზე გამოუცხადებლობა არ ხდება მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი, სკოლა ასეთი მოსწავლეებისათვის ახორციელებს რემედიაციის (დამატებითი მეცადინეობებით პრობლემის აღმოფხვრა) პროგრამას.

რემედიაციის პროგრამის განხორციელება ხდება დამატებით გაკვეთილზე.

XI. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

იზიარებს რა ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სკოლა მოწოდებულია წარმართოს თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებისათვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება (მოდIFIკაცია, აკომოდაცია (შეგუება), ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა).

2. საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად, სსსმ მოსწავლისთვის სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.

3. მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის საჭიროებისას სკოლა შეიმუშავებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. სასწავლო გარემოს აკომოდაციის საჭიროების მიხედვით სკოლას უკვე განხორციელებული აქვს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილება, როგორცაა შიდა პანდუსისა და სანიტარული წერტილების მოწყობა. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, და სპეციალური მასწავლებელი სკოლას გააჩნია შესაძლებლობა და მატერიალური რესურსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შესაქმნელად ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

- ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;
- ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;
- გ) შეფასების აკომოდაცია;
- დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.

გამოყოფილია ფართი რესურსოთახისათვის, შექმნილია კომპიუტერული ტექნიკა და ამჟამად დაგეგმილია ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო სასწავლო მასალების შექმნა. მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულისთვის სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სკოლის ძირითად კორპუსზე ლიფტის დამონტაჟება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შშმ პირების სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვას (საჭიროების შემთხვევაში).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (დანართი 11.1.)

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელმაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, გამოაცხადა კონკურსი უფროსი სპეციალური მასწავლებლის ვაკანტურ 2021-2022 სასწავლო წელს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე სკოლას ჰყავს უფროსი სპეციალური მასწავლებელი.

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ დაესწრება გაკვეთილებს. სკოლა შეუდგენს მას ინდივიდუალური სწავლების განრიგს, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

სკოლაში ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშესაწყობად ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება შიდა მონიტორინგი. სკოლაში მონიტორინგის განხორციელების პერიოდში მოხდება საგნის მასწავლებლებთან, სპეციალურ მასწავლებელთან, ადმინისტრაციასთან და მშობელთან/მშობლებთან გასაუბრება. შიდა მონიტორინგი წარმართება სპეციალურად ამ მიზნით შემუშავებული ინსტრუმენტის **“ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის“ მიხედვით (დანართი N 11- 3).**

სკოლა გეგმავს პერიოდული მონიტორინგის საშუალებით დააკვირდეს საგნის მასწავლებელთა მუშაობას სსსმ მოსწავლესთან, რისთვისაც გამოიყენება მონიტორინგის სასკოლო ფორმა (დანართი N 11.2.).

მონიტორინგის შედეგები ეცნობება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შედეგების განხილვიდან არაუგვიანეს ერთი კვირის დანართი :

11.1. ისგ-ის სარეკომენდაციო ფორმა

11.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა

11.3. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის განხორციელების წესი

XII. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება (ესგ. მუხლი 37).

წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესი (დანართი 10.1.)

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.

1. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10, დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
3. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა (ესგ. მუხლი 37. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, პუნქტი 4).

. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება (ესგ. მუხლი 37).

წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესი (დანართი 10.1.)

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.

4. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10, დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
5. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
6. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა (ესგ. მუხლი 37. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, პუნქტი 4).

10-1. მოსწავლის წახალისების ფორმები (დანართი 10.2.)

სწავლაში მოპოვებული წარმატებისათვის (საგნობრივ ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილეობა), საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა სახის წარმატებისათვის(სპორტი, ხელოვნების სფერო და სხვ...) სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები;

სკოლა „ალბიონში“ დღეისათვის გამოიყენება მოსწავლეთა წახალისების შემდეგი ფორმები:

- სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება;
- სიგელით/დიპლომით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- სკოლის ვებ გვერდზე ან FACEBOOK გვერდზე წარმატების ამსახველი ინფორმაციის განთავსება
- სკოლის რადიოხაზის საშუალებით მილოცვა
- მოსწავლის მშობლებისათვის სამადლობელი ბარათის გაგზავნა
- „საპატიო ალბიონელის“ წოდების მინიჭება

„საპატიო ალბიონელის“ წოდება ენიჭება სკოლა „ალბიონის“ კურსდამთავრებულს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ❖ საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლობს სკოლა „ალბიონში“
- ❖ III საფეხურის საერთო ნიშანი აქვს 10 ქულა
- ❖ XII კლასში აქვს წლიური უმაღლესი რეიტინგული ქულა
- ❖ არის ოქროს ან ვერცხლის მედალოსანი
- ❖ მიაღწია წარმატებას ქვეყნის ეროვნულ-საგნობრივ ოლიმპიადაში
- ❖ აქტიურად მონაწილეობს სასკოლო და საქალაქო ღონისძიებებში

წახალისების გამოყენების წესი

1. მოსწავლის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, რომელსაც მიმართავს მასწავლებელი ან კლასის დამრიგებელი მოსწავლის წახალისების მოთხოვნით.
2. დირექციის წარდგინების საფუძველზე პედაგოგიური საბჭო იღებს

გადაწყვეტილებას „საპატიო ალბიონელის“ წოდების მინიჭების შესახებ.

3. მოსწავლის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

შენიშვნა: სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შენიშვნა: სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.